უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№1 (44), 2015

ფსიქოლოგიის და განათლების ფაკულტეტი – თსუ-ში აღდგენილი ტრადიცია

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიული ფაკულტეტი განახლებული სახით აღსდგა. ფაკულტეტი, რომელსაც საფუძველი უნივერსიტეტის დაარსებისთანავე ქართული ფსიქოლოგიის ფუძემდებელმა დიმიტრი უზნაძემ ჩაუყარა, 2005 წლის საგანმანათლებლო რეფორმის შემდეგ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტთან გაერთიანდა, როგორც ერთ-ერთი მიმართულება. 2014 წლის ოქტომბრიდან კი მას „დამოუკიდებელი“ სტატუსი დაუბრუნდა და დღეს ფსიქოლოგიის და განათლების ფაკულტეტის სახელით ფუნქციონირებს.

ამჟამად, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე სწავლობს 1400-მდე სტუდენტი (სწავლების სამივე დონეზე), რომელთა განათლებასაც ემსახურება 60-მდე პროფესორი; ფაკულტეტზე ხორციელდება 4 საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და 15-მდე სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამა. ფაკულტეტზე არსებობს ფსიქოლოგიის მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი, სადაც შედის კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი (კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის და კოგნიტური ფსიქოლოგიის მიმართულებებით); პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი (პიროვნების ფსიქოლოგიის მიმართულება); ფსიქოლოგიური შეფასება/დიაგნოსტირების და კონსულტირების მიმართულება; სოციალური ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი (სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგიის და გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის მიმართულება); განათლების ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი (განათლების ფსიქოლოგიისა და კვლევის მიმართულება); სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვის ფსიქოლოგია და კონსულტირება; შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი (ორგანიზაციული ფსიქოლოგიის და ადამიანური რესურსის მართვის მიმართულება); ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი, რომლის პირდაპირი დაქვემდებარების მიმართულებებია: კონფლიქტების ანალიზისა და მართვის, ორგანიზაციის განვითარებისა და კონსულტირების მიმართულებები.

ფაკულტეტს გააჩნია სასწავლო და სამეცნიერო ლაბორატორიები, კომპიუტერული ცენტრი, ბიბლიოთეკა, მატერიალური და ფინანსური რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლებისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მაღალ დონეს.

გაგრძელება მე-2 გვ.

კონკურსში „არა ძალადობას“ გამარჯვებულ სტუდენტთა დაჯილდოება

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში „არა ძალადობას“ გამარჯვებული სტუდენტები დაჯილდოვა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ. ღონისძიებას შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ლევან იზორია, შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ნინო გიორგობიანი, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები ესწრებოდნენ.

თსუ რექტორის ვლადიმერ პაპავას განცხადებით, „ნებისმიერი ძალადობის დაძლევისთვის მხოლოდ შსს-ს ძალისხმევა არ არის საკმარისი, საჭიროა მთელი საზოგადოების მობილიზება. ჩვენი სტუდენტები წარმატებით ჩაერთნენ შსს-ს აქციაში. მათი შექმნილი პროდუქტი უფრო გასაგები და მისაღები იქნება ახალგაზრდებისთვის.“

„მაღლობა თსუ-ს ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებს, რომელნიც აქტიურად ჩაერთნენ კამპანიაში „არა ძალადობას“. დემოკრატიას სჭირდება აქტიური მოქალაქეები, პროფესიონალები. მათ შორის, პროფესიონალი ჟურნალისტები, რომლებიც ამ პრობლემის შესახებ საზოგადოებას ობიექტურ ინფორმაციას მიაწვდიან და პრობლემის გადაწყვეტის გზებსაც აჩვენებენ. მხოლოდ შსს-ს რესურსი არ კმარა ძალადობის პრევენციისთვის, ოჯახში

გაგრძელება მე-2 გვ.

„ჩემი თვალით დანახული ჭაობი“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებული სტუდენტური თსუ-ეკო კლუბი საქართველოს სკოლების მოსწავლეებს ახალ კონკურსში მონაწილეობას სთავაზობს. კონკურსს „ჩემი თვალით დანახული ჭაობი“ ჰქვია და ჭარბტენიანი ტერიტორიების დაცვის საერთაშორისო დღეს ეძღვნება, რომელიც 2 თებერვალს აღინიშნება.

როგორც კონკურსის ორგანიზატორები აღნიშნავენ, რეგიონში ბიომრავალფეროვნების, გადამფრენი ფრინველებისათვის საჭირო გზის უზრუნველსაყოფად, ასეთ ტერიტორიებს უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს. კონკურსის მიზანი სკოლის მოსწავლეების ჭაობების პრობლემებით დაინტერესებაა. თსუ ეკოკლუბის წარმომადგენლებს სკოლის მოსწავლეებისთვის ამ თემაზე მაქსიმალური ინფორმაციის მიწოდება სურთ, რათა ბავშვებმა კარგად გააცნობიერონ ჭაობების შესწავლასა და გამოყენების მხრივ არსებული მნიშვნელობა.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ყველა სკოლის მოსწავლეებსა და მათ

საკონკურსოდ წარმოდგენილი ნამუშევრებიდან

გაგრძელება მე-2 გვ.

თსუ მეცნიერება №6 – წლიური გამოცემა მეცნიერებით დაინტერესებული ადამიანებისთვის

2014 წლის მიწურულს, უკვე ტრადიციულად, უნივერსიტეტის სამეცნიერო-პოპულარული გამოცემის „თსუ მეცნიერების“ მეექვსე ნომერი გამოვიდა. ჟურნალის მიზანია საზოგადოებას უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო პროცესების შესახებ მიაწოდოს ინფორმაცია. აქ წარმოდგენილია მასალები თანამედროვე კვლევების შესახებ, რომლებმაც უკვე მოიპოვეს საერთაშორისო გამოხმაურება; მიღებული აქვთ კვლევითი გრანტები; მათ შესახებ ქვეყნდება სტატიები მაღალრეიტინგულ სამეცნიერო გამოცემებში; მოხსენებები წარმოდგენილია სამეცნიერო კონფერენციებზე; ხშირ შემთხვევაში ეს კვლევები წარმატებული საერთაშორისო თანამშრომლობის შედეგია.

ჟურნალი მკითხველს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ისტორიასაც აცნობს; სკოლებს, რომლებიც აგრძელებენ წარმატებულ სამეცნიერო მოღვაწეობას; აღამიანებს, რომლებიც საქართველოს და მსოფლიოს სამეცნიერო კაპიტალს ქმნიან, XXI საუკუნის საერთაშორისო სამეცნიერო წრეების ღირსეული წევრები არიან; ჟურნალში წარმოდგენილია თსუ-ს სამეცნიერო ინსტიტუტები, მათი ისტორია და დღევანდელობა; აქ მიიღებთ ინფორმაციას თსუ-ში არსებულ სამეცნიერო ბაზების, საერთაშორისო კონფერენციების შესახებ, რომლებშიც მონაწილეობას მსოფლიოს ცნობილი მეცნიერები იღებენ.

ამჯერად 2014 წლის შემაჯამებელ გამოცემაში გა-

გაგრძელება მე-2 გვ.

ვარშავის უნივერსიტეტმა საუკეთესო სტუდენტის ნომინაციაგე თსუ კურსდამთავრებული წარადგინა

გვ. 3

თსუ გენდერის კვლევების ინსტიტუტი

გენდერის კვლევების ინსტიტუტი გეგმავს სტუდენტების კიდევ უფრო აქტიურ ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში და კურიკულუმისგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში. ამ ეტაპზე, ყოველთვიურად, ინსტიტუტი აწყობს სჯარო ლექციებს და ყოველწლიურ სამეცნიერო კონფერენციას გენდერისა და ქალთა უფლებების საკითხებზე.

გვ. 3

თანამშრომლობის მემორანდუმი ეკონომიკის სამინისტროსთან

გვ. 3

თსუ-ის ძალისმიერი სამჭიდის ნაკრების წარმატება

გვ. 4

თსუ ფუტსალის გუნდი საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის თასის მფლობელია

გვ. 4

კონკურსში „არა ძალადობას“ გამარჯვებულ სტუდენტთა დაჯილდოება

ძალადობა დაიძლევა საზოგადოების აქტიური ჩართულობით,“- აღნიშნა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ლევან იზორიამ.

„არსებობს თემები, რომელზეც ნებისმიერ ადამიანს უნდა ჰქონდეს საკუთარი პოზიცია. ჩვენ, სტუდენტებმა ვიდეორგოლებით გამოვხატეთ ჩვენი დამოკიდებულება ოჯახში ძალადობაზე. სასურველია, თუ ჩვენს პოზიციას სხვებიც გაიზიარებენ,“- განაცხადა თსუ სტუდენტმა ანი ბურდულმა.

შსს-ს მიერ გამოცხადებულ კონკურსში ოჯახში ძალადობის პრევენციასთან დაკავშირებით ასამდე მედია პროდუქტი (საგაზეთო პუბლიკაცია, ტელე და რადიო სიუჟეტები) იყო წარდგენილი. კონკურსზე თსუ ჟურნალისტიკის მიმართულების სამაუწყებლო მედიის ფარგლებში სამმა ჯგუფმა სამი ვიდეორგოლი წარმოადგინა. თსუ-დან წარმოდგენილი სამი ვიდეორგოლიდან ორმა გაიმარჯვა. ღონისძიებაზე გაიმართა გამარჯვებული ვიდეორგოლების დემონსტრირება.

სიახლეები

„საქართველო 2020 - სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და ბრემენის უნივერსიტეტმა, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან (IDFI) ერთად, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით პროექტ „საქართველო 2020 - სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება“ ფარგლებში სტუდენტებს სალექციო კურსების სერია შესთავაზა.

პროექტის ფარგლებში სტუდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიეიღოთ ოთხდღიან სალექციო კურსში „საბაზრო ეკონომიკის ქართული სისტემა, 2003-2012“. სალექციო კურსს ბრემენის უნივერსიტეტის დოქტორი გიორგი ხიშტოვანი უძღვებოდა. მონაწილეთათვის გაიცა IDFI-ს, თსუ-სა და ბრემენის უნივერსიტეტის ერთობლივი სერთიფიკატი.

სალექციო კურსი 20, 21, 22 და 23 იანვარს გაიმართა. კურსის ფარგლებში განხილული იყო შემდეგი თემები: კაპიტალიზმის ვარიაციები პოსტ-საბჭოთა ტრანსფორმაციის ქვეყნებში; სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემები კორნაის მიხედვით; 2003-2012 წლების საბაზრო ეკონომიკის ქართული სისტემა კორნაის მოდელის მიხედვით (პოლიტიკური სისტემა და იდელოგია, კერძო საკუთრების დომინანტი ფორმა, კოორდინაციის ძირითადი მექანიზმები); 2003-2012 წლების საბაზრო ეკონომის ქართული სისტემა კორნაის მოდელის მიხედვით (კერძო აქტორთა ძირითადი ქცევითი ფენომენები და ეკონომიკის ტიპური ფენომენები); 2003-2012 წლებში საბაზრო ეკონომიკის ქართული სისტემის მოგებული და წაგებული აქტორები. Case Study: ჯანდაცვის რეფორმა საქართველოში, 2006-2012; „საქართველო 2020“-ის ძირითადი გამოწვევები 2003-2012 წლებში საბაზრო ეკონომიკის ქართულ სისტემაში არსებული ხარვეზების გათვალისწინებით.

ფსიქოლოგიის და განათლების ფაკულტეტი – თსუ-ში აღდგენილი ტრადიცია

პირველი გვერდიდან

ფაკულტეტის ისტორია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დაარსებიდანვე, ფილოსოფიის და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტთან, დიმიტრი უზნაძის ხელმძღვანელობით, გაიხსნა ფსიქოლოგიის კათედრა, რომელთანაც არსებობდა პედაგოგიური ინსტიტუტი, ხოლო მოგვიანებით – პედოლოგიის კათედრა. თავიდან ფსიქოლოგიის დარგი უნივერსიტეტში ერთადერთი ფსიქოლოგით – დიმიტრი უზნაძით იყო წარმოდგენილი, თუმცა 1923 წელს უკვე შესაძლებელი გახადა კათედრასთან ფსიქოლოგიური ლაბორატორიის გახსნა, ხოლო 1926 წელს საქართველოში დაარსდა ფსიქოლოგთა საზოგადოება, რომლის წევრებიც თბილისის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები იყვნენ. სწორედ ფსიქოლოგიის კათედრასა და მის ბაზაზე გახსნილ ლაბორატორიაში შეიქმნა და დამუშავდა მსოფლიოში ცნობილი – დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორია და საფუძველი ჩაეყარა ე.წ. ქართულ ფსიქოლოგიურ სკოლას. დიმიტრი უზნაძე ფსიქოლოგიის კათედრას სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა.

წლების განმავლობაში კათედრის სამეცნიერო კვლევის დიაპაზონი მნიშვნელოვნად გაფართოვდა და მოიცავდა ფსიქოლოგიის ყველა დარგს: ზოგად ფსიქოლოგიას, დიფერენციალურ, ბავშვისა და გენეტიკურ ფსიქოლოგიას, პედაგოგიურ ფსიქოლოგიას, დეფექტოლოგიას და ა.შ. რომელმაც არაერთი საერთშორისო აღიარება მოიპოვა.

რაც შეეხება უნივერსიტეტში პედაგოგიკურ მეცნიერებას – 1919 წლიდან უნივერსიტეტში ფუნქციონირებდა “საპედაგოგო ინსტიტუტი“ დიმიტრი უზნაძის ხელმძღვანელობით. ამავე პერიოდიდან უნივერსიტეტი ამზადებს მასწავლებლებს. 1922 წელს უნივერსიტეტში შეიქმნა პედაგოგიური ფაკულტეტი, რომლის დეკანი იყო პროფესორი კორნელი კეკელიძე. 1930 წლიდან კი უნივერსიტეტში, ფილოსოფიის ფაკულტეტთან, არსებობს პედაგოგიკის ზოგადსაუნივერსიტეტო კათედრა და პედაგოგიკის კურსი იკითხება უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტზე. 1990 წლიდან პედაგოგიკის კათედრა შეუერთდა ახლადშექმნილ ფსიქოლოგიის ფაკულტეტს, ხოლო 2006 წლიდან შეიქმნა პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, რომელიც შევიდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შემადგენლობაში.

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის შექმნის მიზნები

„ფსიქოლოგია რთული და მრავალფეროვანი დარგია. იგი შეიძლება მოვიაზროთ, როგორც სიციალურ, ასევე საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში, რადგან მისი კვლევის ობიექტია ადამიანი, რომელიც სოციუმის ნაწილია; მაგრამ, ამავდროულად, მის ქცევას ბიოლოგიური საფუძვლები აქვს, რისთვისაც ვიყენებთ ექსპერიმენტულ და ემპირიულ კვლევებს.

ჩვენთვის სასიამოვნო სიურპრიზი იყო, როდესაც უნივერსიტეტის რექტორმა ვლადიმერ პაპავამ მიიღო გადაწყვეტილება აღმდგარიყო ფსიქოლოგიის და განათლების ფაკულტეტი. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან დღეს საქართველოში, ჩემი აზრით, განათლება, ფაქტობრივად, არ არსებობს. ამას ვამბობ სრული პასუხისმგებლობით, რადგან ბევრი მიმართულებით მაქვს შეხება, როგორც უნივერსიტეტის პროფესორს, გამოცდების ეროვნული ცენტრის კონსულტანტს და როგორც კლინიცისტს, რომელთანაც მოდიან ამ განათლების სისტემით დამახინჯებული ბავშვები“, – ამბობს ფსიქოლოგიის და განათლების ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი, თამარ გაგოშიძე, რომლის განმარტებითაც ფსიქოლოგები წლების განმავლობაში უშედეგოდ იბრძოდნენ ფაკულტეტის დამოუკიდებლობისთვის.

ახალი ფაკულტეტი გასული წლის ოქტომბერში დაარსდა და როგორც დეკანის მოვალეობის შემსრულებელი თამარ გაგოშიძე აღნიშნავს, ორგანიზაციული თვალსაზრისით, ფაქტობრივად, ნულიდან იწყება მისი შექმნა – დაწყებული კრედიტების გადანაწილებით, ახალი საგნების შემოღებით, ლაბორატორიების შექმნით და ა.შ. ეს ყველაფერი სრულყოფილად უნდა იყოს მომზადებული, რომ 2016 წელს ფაკულტეტმა აკრედიტაცია მოიპოვოს. (ჯერჯერობით ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ბაკალავრის კურსდამთავრებულების ხარისხი არის – სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი ფსიქოლოგიაში).

როგორც თამარ გაგოშიძე აღნიშნავს, ბაკალავრიატში ფსიქოლოგიის პროგრამის მიზანია, თანამედროვე პროფესიული სტანდარტების შესაბამისად მოამზადოს სტუდენტი იმგვარად, რომ მან შეძლოს კონკურენტულ გარემოში საკუთარი შესაძლებლობების განვითარება და რეალიზება, მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. გარდა ამისა, ფაკულტეტის მიზანია, სტუდენტს მისცეს შესაძლებლობა განავითაროს კრიტიკული აზროვნებისა და რაოდენობრივი ანალიზის უნარი; დაეუფლოს წერითი და ვერბალური კომუნიკაციის ჩვევებს; ბაკალავრის საფეხურზე მიღებული ცოდნა იყოს მყარი საფუძველი ზედა საფეხურის აკადემიური და პროფესიული პროგრამების უკეთ დაუფლებისათვის; სტუდენტს მიეცეს საშუალება გაეცნოს და ისწავლოს პიროვნების ჩამოყალიბების, განვითარებისა და ნორმალური და პათოლოგიური ქცევის ამხსნელი თეორიები; შეისწავლოს პიროვნების კვლევისა და დიაგნოსტირების ინდივიდუალური, კლინიკური და ჯგუფური მეთოდები და ა.შ. პროგრამა აგებულია სამეცნიერო კვლევებზე დაფუძნებულ ცოდნაზე. რიგი დისციპლინების მიზანია სტუდენტს საშუალება მიეცეს, გაეცნოს განათლებისა და სწავლის თანამედროვე თეორიებს, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებს; გაიღრმავოს ცოდნა სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვის ფსიქოლოგიაში, აგრეთვე, დაეუფლოს კვლევის მეთოდებს და გაეცნოს მათი გამოყენების სპეციფიკას განათლების სფეროში.

„ჩვენი განათლების ერთ-ერთი დიდი პრობლემა არის ის, რომ ბაკალავრიატის კურსდამთავრებულებს არ აქვთ პრაქტიკული ცოდნა და გამოცდილება. ახალი სასწავლო პროგრამით კი სტუდენტი შეიძენს იმ საბაზისო თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას და უნარებს, რომლებიც აუცილებელია საქმიანობის დასაწყებად. მას შეეძლება დამოუკიდებლად განახორციელოს მცირე მასშტაბის კვლევა, შეეძლება ახსნას, თუ რა გავლენას ახდენს ადამიანის ქცევაზე სოციალური, პიროვნული და სიტუაციური ფაქტორები; ამასთანავე, გამოიმუშავებს კრიტიკულ აზროვნებას; შეიძენს სფეროში მუშაობისათვის საბაზისო პროფესიულ უნარ-ჩვევებს და ა.შ. საბაკალავრო პროგრამის გავლის შემდეგ სტუდენტს შეეძლება მონაწილეობა მიიღოს სასწავლო დაწესებულებაში მიმდინარე სწავლისა და სწავლების პროცესის შეფასებაში ძირითადი პარამეტრების მიხედვით, განსაზღვროს არსებული ხარვეზები, დაკავშირებული როგორც ბავშვის ფსიქოლოგიურ თავისებურებებთან, ასევე სწავლების მეთოდებთან და დაწესებულების ფსიქოლოგიურ კლიმატთან. საბაკალავრო დონეზე სტუდენტები შეისწავლიან ორგანიზაციისათვის ისეთ მნიშვნელოვანი აქტივობების დაგეგმვისა და შეფასების ძირითად ასპექტებს, როგორიცაა: პერსონალის შერჩევა, გრენინგი და განვითარება, შესრულებული სამუშაოს შეფასება, სამუშაოს ანალიზი და სხვ. და ბოლოს – ბაკალავრიატში მიღებული ცოდნის საფუძველზე კურსდამთავრებული შეძლებს მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელებას,“ – ამბობს დეკანის მოვალეობის შემსრულებელი თამარ გაგოშიძე, რომელიც სხვა მიზნებთან ერთად, ოცნებობს, თუ შესაძლებელი იქნება, ფსიქოლოგიის და განათლების ფაკულტეტზე მოხდეს საერთაშორისო აკრედიტაციის დანერგვა, რაც საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოვების საუკეთესო საშუალებაა.

„ჩემი თვალით დანახული ჭაობი“

პირველი გვერდიდან

ხელმძღვანელ პედაგოგებს. კონკურსის პირველი ეტაპი 26 დეკემბერს დაიწყო და 24 იანვარს დასრულდა.

ეკო კლუბის ხელმძღვანელის, ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მესამე კურსის გეოგრაფიის მიმართულების სტუდენტის ნიკა წითელაშვილის თქმით, კონკურსის მონაწილე მოსწავლეებს ჭაობის მოდელი ან მაკეტი უნდა დაემზადებინათ და ნამუშევარისთვის შესაბამისი სახელიც შეერჩიათ. სახელი ჭარბტენიანი ტერიტორიების თემის შესაბამისი უნდა ყოფილიყო. ნამუშევრის ამსახველი 3 ფოტოსურათი კონკურსის მონაწილეებს თსუ ეკოკლუბის ელექტრონულ მისამართზე უნდა გამოეგზავნათ. ცნობისათვის, საკონკურსოდ წარმოდგენილი ნამუშევრების ფოტოების ნახვა მსურველებისთვის თსუ ეკოკლუბის ფეისბუკის გვერდზეც არის შესაძლებელი.

მოდელის ან მაკეტის დასამზადებლად კონკურსანტებს ნებისმიერი მასალის გამოყენება შეეძლოთ. კონკურსის დასკვნითი ნაწილი აღმოსავლეთ საქართველოს სკოლებისათვის 31 იანვარს თსუ-ის პირველ კორპუსში, ხოლო დასავლეთ საქართველოს სკოლებისათვის კი – 1 თებერვალს ქალაქ ფოთში ჩატარდება.

მეორე ეტაპზე გასული მონაწილეთათვის როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოს სკოლებიდან, საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს ხელშეწყობით, გაიმართება ექსკურსია კოლხეთის ეროვნულ პარკში, სადაც სკოლის მოსწავლეებისათვის, თსუ ეკოკლუბის წარმომადგენელთა მიერ, ჭაობის თემაზე საინტერესო ლექციაც გაიმართება.

საკონკურსოდ წარმოდგენილი ნამუშევრებიდან

ვარშავის უნივერსიტეტმა საუკეთესო სტუდენტის ნომინაციაგე თსუ კურსდამთავრებული წარადგინა

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებული თინათინ ახვლედიანი, ვარშავის უნივერსიტეტმა საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობისათვის ერთ-ერთ კანდიდატურად წარადგინა. კონკურსში „ინტერსტუდენტი 2014“ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის 22 000 უცხოელი ნომინანტია წარდგენილი, საიდანაც ჟიურის მიერ სამი საუკეთესო შედეგის მქონე სტუდენტი დაჯილდოვდება. სპეციალურ პრიზს მიიღებს ინტერნეტ-არჩევნების გამარჯვებულიც. კონკურსის მონაწილეებიდან საკუთარი ფავორიტის შერჩევა სტუდენტებსა და აკადემიური პერსონალის წარმოამდგენლებს საარჩევნო გვერდზე ხმის მიცემით 15 იანვრამდე შეეძლოთ.

„პირველ რიგში მინდა აღვნიშნო, რომ ვარშავის უნივერსიტეტში ერაზმუს-მუნდუსის სტიპენდიასთან ერთად მომენიჭა „დაადის“ ორწლიანი სამაგისტრო სტიპენდია და „ღია საზოგადოების“ სამაგისტრო სტიპენდია ბუდაპეშტში ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში სასწავლებლად. მიუხედავად ამისა, მე უარი ვთქვი გერმანიასა და უნგრეთში გამგზავრებაზე და ჩამოვედი პოლონეთში. პირველ რიგში იმიტომ, რომ აღფრთოვანებული ვიყავი სამაგისტრო პროგრამაში საერთაშორისო ეკონომიკაში შემოთავაზებული კურიკულუმით. გარდა ამისა, მინდოდა მეცხოვრა ქვეყანაში, რომელიც ასე კარგად, სწრაფად და დინამიურად ვითარდება. ვარშავაში ერთწლიანი ცხოვრების შემდეგ, ევროპის სხვა ქვეყნებში ცხოვრებასთან შედარებით, შემიძლია ვთქვა, რომ ამ ქალაქს და ქვეყანას ყველაფერი აქვს კომფორტის, ჯანმრთელობის და ბედნიერებისთვის. მათ შორის, ჯანმრთელი სამზარეულო, მწვანე გარემო და ძალიან ხელმისაწვდომი ფასები. გარდა ამისა, მე მიყვარს პოლონელები, რომლებიც ძალიან კარგი და მხარში დამდგომი ხალხია და სადაც ძალიან კარგი მეგობრები შევიძინე... ვარშავის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი ძალიან მაღალი დონის სკოლაა, რომელიც ძალზე ბევრ მუშაობას მოითხოვს, მაგრამ სამაგიეროდაც ბევრს იძლევა. მიყვარს და ვაფასებ ჩემს პროფესორებს, რომლებმაც მომცეს ძალზე ღირებული ცოდნა, რომელიც გადამწყვეტად მნიშვნელოვანია ჩემი პროფესიული განვითარებისთვის.“ – ასეთი კომენტარი ჰქონდა საკუთარ თავსა და პოლონეთში სწავლების შესახებ თინათინ ახვლედიანს ინტერნეტ-არჩევნებისთვის შექმნილ გვერდზე.

ცნობისთვის, პოლონეთში 40 ათასამდე საერთაშორისო სტუდენტი სწავლობს. პოლონეთის უნივერსიტეტებმა „ინტერსტუდენტის“ კონკურსის ნომინანტებად კი 120 სტუდენტი დაასახელეს. მათ შორის სტუდენტები: უკრაინიდან, ბელორუსიდან, ინდოეთიდან, ალბანეთიდან, ჩინეთიდან, ჰაიტიდან, მალაიზიიდან, ყაზახეთიდან, ბრაზილიიდან, ისრაელიდან, იტალიიდან, რუსეთიდან, აშშ-დან, კანადიდან, გერმანიიდან, ლიტვიდან, პორტუგალიიდან, პაკისტანიდან, რუმინეთიდან, სერბეთიდან, იაპონიიდან, ეგვიპტედან, ესტონეთიდან, საქართველოდან, საუდის არაბეთიდან, ირანიდან, ერაყიდან და უზბეკეთიდან. ყველა ნომინანტი გამორჩეული იყო თავისი აქტივობით. კერძოდ, ეს სტუდენტები ორგანიზებას უკეთებდნენ საქველმოქმედო აქციებს, სხვადასხვა სახით მონაწილეობდნენ სამეცნიერო ცხოვრებაში, ქმნიდნენ ფილმებს, ეხმარებოდნენ თავის კოლეგებს პოლონეთში ადაპტირებაში... პერსპექტიული საგამოფენო ფონდის პრეზიდენტის ვალდემარ სივინსკის შეფასებით: „ამ ფანტასტიკურმა ახალგაზრდა ხალხმა ძალიან ბევრი შესძინა მათ აკადემიურ ცხოვრებას“.

„ჩემს სამომავლო გეგმებს რაც შეეხება, ვაპირებ სწავლის გაგრძელებას ეკონომიკაში სადოქტორო პროგრამის საფეხურზე და სამუშაო გამოცდილების მიღებას საერთაშორისო ეკონომიკურ, ევროკავშირის ორგანიზაციებში. 5-7 წლის მერე არც ქართულ პოლიტიკაში აქტიურობას გამოვრიცხავ, თუმცა სადაც არ უნდა ვიცხოვრო, ვისწავლო და ვიმუშაო მომავალში, პოლონეთი ყოველთვის იქნება ჩემი ფასეული მოგონებების ნაწილი და ჩემი ცხოვრებისეული გამოცდილების წყარო. ადგილი, სადაც ყოველთვის ვიქნები სიმშვიდეში“. – ამბობს თინათინ ახვლედიანი.

ცნობისათვის, წარმატებული უნივერსიტეტის სტატუსით თინათინი მანამდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 95 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ფოტოპროექტის „მე – უნივერსიტეტის“ 95 წარმატებულ უნივერსიტეტელს შორისაც მოხვდა.

საერთაშორისო კონკურსის ჟიური, ლოძის უნივერსიტეტის რექტორის, პოლონეთში აკადემიური სკოლების რექტორთა კონფერენციის პრეზიდენტის ვლოდიმერ ნუკიელის თავმჯდომარეობით, გამარჯვებულებს სამივე საფეხურის სტუდენტებიდან შეარჩევს. კონკურსის შედეგები თვის ბოლოსთვის ლუბლიანაში საზეიმო კონფერენციაზე გამოცხადდება.

თსუ მეცნიერება №6 – ახალი წლიური გამოცემა მეცნიერებით დაინტერესებული ადამიანებისთვის

პირველი გვერდიდან

ეცნობით მასალებს ისეთ მნიშვნელოვან კვლევით თემებზე, როგორიცაა:

ინტეგრაზური ბიონანომეცნიერება თსუ-ში, მიღწევები და პერსპექტივები საქართველოსთვის; მაღნეულის სამთო გამამდიდრებელი კომბინატის გავლენა ბოლნისის რაიონის ნიადაგებსა და წყლებზე; Comet ექსპერიმენტი J-PARC-ში: ნაბიჯი მიუონის გამოცანის ამოხსნისკენ; შავი ზღვის ეკოლოგიური მდგომარეობა თსუ მეცნიერთა შეფასებით; გეომეტრიული ობიექტები და მათი შესწავლის გამოცდილება თსუ-ში;

საკვები და მცენარეული საფარი ძველი წელთაღრიცხვით V-VI საუკუნეების ქართლში – გრაკლიანი გორის აღმოჩენების მიხედვით; გერმანელების ყოფა-ცხოვრება კავკასიაში; ივერონის მონასტერი ოსმალეთის იმპერიის დროს;

ლაფერ-კენზიანური სინთეზი და მაკრო-ეკონომიკური წონასწორობა; საფონდო ბაზარი საქართველოში: არსებული რეალობა და გაურკვეველი მომავალი;

სოციალური ქსელების როლი ქართულ პოლიტიკაში; მამაკაცები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში; თსუ კოგნიტური და კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის მიმართულებაზე წარმოებული კვლევები; საქართველოს ტერიტორიაზე არსებული შავი ჭირის ბუნებრივი კერების ეპიზოოტიური აქტივობა;

ანდროგენდეფიციტური და ინსულინრეზისტენტობა სიმსუქნით დაავადებულ მამაკაცებში; საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს ფარისებრი ჯირვლის დისფუნქცია აქვს;

შრომის სამართლის კრებული თეორიული ცოდნისა და მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფისთვის; კორპორატიული მართვის ზოგადი ანალიზი; კვლევები ტრანსნაციონალურ სამართალში;

ჟურნალი გამოდის ორ ენაზე. პირველი ორენოვანი ჟურნალი 2011 წელს გამოვიდა და ყოველწლიურად ორი ნომერი გამოდიოდა; 2014 წლიდან კი გამოცემა უკვე ყოველწლიურია და ორ დამოუკიდებელ – ქართულ და ინგლისურ ჟურნალებად არის წარმოდგენილი.

თსუ გენდერის კვლევების ინსტიტუტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გენდერის კვლევების ინსტიტუტი 2012 წელს დაფუძნდა, როგორც უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეული. ინსტიტუტი უზრუნველყოფს გენდერის მიმართულებით არსებული აკადემიური პროგრამებისა და სამეცნიერო პროექტების ხელშეწყობასა და ადმინისტრირებას.

გენდერის კვლევების ინსტიტუტის მიზნებია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გენდერის მიმართულების ინტერდისციპლინური კვლევისა და სწავლების განვითარება, გენდერის პრობლემებზე მომუშავე აკადემიური პერსონალისა და სადოქტორო სტუდენტების თანამშრომლობისთვის ინსტიტუციური პლატფორმის უზრუნველყოფა, გენდერის კვლევის სასწავლო საგნების ინტეგრაცია უნივერსიტეტში არსებულ სასწავლო პროგრამებსა და კვლევებში, უნივერსიტეტის სტუდენტების, პროფესორების, აღმინისტრაციული პერსონალისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გენდერული უთანასწორობის პრობლემებისა და მათი დაძლევის გზების შესახებ.

გენდერის კვლევების ინსტიტუტის ხელმძღვანელის, თსუ ასოცირებული პროფესორის თამარ საბედაშვილის ინფორმაციით, გენდერის კვლევები შედარებით ახალი დისციპლინაა და მისი აქტიური განვითარება ევროპისა და ამერიკის აკადემიურ წრეებში 90-იანი წლებიდან შეინიშნება. თსუ-ის გენდერის კვლევის ინსტიტუტი ერთადერთია ამიერკავკასიაში და მიზნად ისახავს გენდერის კვლევების დანერგვას ქართულ და ასევე რეგიონის აკადემიურ სივრცეში. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალური ურთიერთობების ანალიზის, ქალთა უფლებებისა და მდგომარეობის შესწავლის, ფემინურობის, მასკულინობისა თუ სხვა გენდერული იდენტობების კვლევის თვალსაზრისით, გენდერის როგორც ანალიტიკური კატეგორიის გამოსაყენებლად ძალაუფლებისა და რესურსების გადანაწილების ანალიზისას.

გრძელვადიან პერსპექტივაში გენდერის კვლევების ინსტიტუტი გეგმავს სტუდენტების კიდევ უფრო აქტიურ ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში და კურიკულუმისგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში.

ამ ეტაპზე, ყოველთვიურად, ინსტიტუტი აწყობს საჯარო ლექციებს და ყოველწლიურ სამეცნიერო კონფერენციას გენდერისა და ქალთა უფლებების საკითხებზე. აღნიშნული ძალიან მნიშვნელოვანია ამ სფეროში აკადემიური დებატისა და დისკურსის გასავითარებლად. ინსტიტუტი მჭიდროდ თანამშრომლობს სოციალური მეცნიერებების ცენტრთან (რომლის მხარდაჭერითაც შეიქმნა და დაფუძნდა) და მისი კურსდამთავრებულები და სტუდენტები ჩართულები არიან არაერთ კვლევით პროექტში, რომელსაც სოციალური მეცნიერებების ცენტრი ახორციელებს. აღნიშნული კვლევები შეეხება ქალთა მიმართ ძალადობას, გენდერულ როლებსა და სტერეოტიპებს, ქალთა სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებებისა და პრიორიტეტების კვლევას.

უშუალოდ ინსტიტუტის მიერ ხორციელდება მცირემასშტაბიანი სტუდენტური კვლევები იმ საგნების თემატიკიდან გამომდინარე, რასაც გენდერის კვლევის სტუდენტები ეუფლებიან (ეს შეეხება მასკულინობის კვლევებს, ქალთა უფლებების განვითარებას ისტორიულ ჭრილში და სხვ.).

ინსტიტუტის უახლოეს გეგმებს შორისაა: გენდერის დარგში დამატებითი აკადემიური პოზიციების შექმნა პროგრამის სტაბილურობის უზრუნველყოფისა და კვლევითი კომპონენტის გაძლიერების მიზნით; გენდერის კვლევის სადოქტორო პროგრამის ხელშეწყობა და მისი მომავალი კურსდამთავრებულების ჩართვა კვლევებში და სწავლებაში; გენდერის კვლევის, როგორც აკადემიური სფეროს, პოპულარიზაცია აკადემიური წრეებში და გენდერული პრობლემატიკის მიმართ მგრძნობელობის გაზრდა მთელ საზოგადოებაში.

სიახლეები

მონოგრაფიის პრეზენტაცია

20 იანვარს თსუ-ში გაიმართა მოშე-ხაიმ (თემურ) მდინარაძის მონოგრაფიის „თორისა და ქებათა ქების არსის საიდუმლოებათა შემეცნების“ პრეზენტაცია. ღონისძიებას თსუ რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, საქართველოსა და ისრაელს შორის მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარე ჯამლეტ ხუხაშვილი, საქართველოს საპატრიარქოს ფონდის ხელმძღვანელი, დოქტორი ლაშა ჟვანია, თსუ პროფესორები, ებრაისტიკის მიმართულების სტუდენტები დაესწრნენ.

თანამშრომლობის მემორანდუმი ეკონომიკის სამინისტროსთან

16 იანვარს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და თსუ-ს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის, ISET-ის კვლევით ინსტიტუტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომელსაც ხელი მოაწერეს საქართველოს ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა და ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა ერიკ ლივნიმ. მემორანდუმის საფუძველზე მხარეები თანხმდებიან ერთობლივი პროექტების, ტრენინგებისა და კვლევების ორგანიზებასა და განხორციელებაზე. გარდა ამისა, მემორანდუმი გულისხმობს ISET-ის წარჩინებული სტუდენტების სტაჟირებას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში და მათ ჩართულობას სხვადასხვა საქმიანობაში. ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი დაარსდა 2011 წელს თსუ-ს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ბაზაზე.

ზამთრის სასწავლო-სამეცნიერო სკოლა „ნაბიჯ-ნაბიჯ ცოდნისაკენ“

8 იანვარს თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტმა და თსუ საბავშვო უნივერსიტეტმა ჩაატარეს ზამთრის სასწავლო-სამეცნიერო სკოლა „ნაბიჯ-ნაბიჯ ცოდნისაკენ“.

სიახლეები

მესამე გვერდიდან

ზამთრის სკოლაში მონაწილეობა მიიღეს მოსწავლეებმა მე-6-დან მე-12 კლასის ჩათვლით. ღონისძიება მოიცავდა: ცოდნის მიღებასა და გაზიარებას, ექსკურსიებს თბილისში და ქალაქგარეთ, კონცერტებს კლასიკურ, ხალხურ და ჯაზურ მუსიკაში, კახიდან (აზერბაიჯანი) და სადახლოდან მოსწავლეთა მიღება-მასპინძლობას თბილისში წინასწარ შერჩეულ ოჯახებში. ღონისძიების „ნაბიჯ-ნაბიჯ ცოდნისაკენ“ მიზანია საინტერესო გახადოს მათემატიკური და მასთან მომიჯნავე დისციპლინები. გათვალისწინებულია შერჩეულ მოსწავლეთა ჯგუფის გამოყოფა, რომლისთვისაც მიმდინარე წლის მარტი – მაისის პერიოდში ჩატარდება ყოველკვირეული შეკრება, რომელიც გამოყენებითი მათემატიკური მეცნიერებების სწავლებას და ცნობილ მეცნიერებთან შეხვედრას გულისხმობს.

ბერიტაშვილის კითხვანი 130

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის დაბადების 130 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. ღონისძიების მონაწილეებმა თსუ პანთეონში ყვავილებით შეამკეს ივანე ბერიტაშვილის საფლავი, შემდეგ გაიმართა კონფერენცია.

„ივანე ბერიტაშვილი არა მხოლოდ უნივერსიტეტის დამფუძნებელია, არამედ მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერია. მან საქართველოში საფუძველი ჩაუყარა ფიზიოლოგიურ სკოლას და დღეს მისი მოწაფეები, ყველა ვისაც გული შესტკივა უნივერსიტეტისთვის, შეიკრიბა მის საფლავთან. ასეთი ხალხის გახსენება მნიშვნელოვანია უნივერსიტეტისთვის, სტუდენტებისა და მომავალი თაობებისთვის. ის მეცნიერული მემკვიდრეობა, რომელიც მან დაგვიტოვა არის ფიზიოლოგიური მეცნიერების განვითარების საფუძველი“, – განაცხადა თსუ რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ.

„ამ მოვლენას უნდა ვუმადლოდეთ ქართულ ტრადიციებს, ეს ხდება ყოველ წელს. ძალიან ბევრ მოწაფეს ვხედავ აქ და ეს ტრადიცია სათუთად ინახება. ძალიან სასიხარულოა, რომ უნივერსიტეტს ახსოვს თავისი დამფუძნებლები“, – აღნიშნა დავით ბერიტაშვილმა.

ღონისძიების ორგანიზატორია თსუ, საქართველოს ივანე ბერიტაშვილის ფიზიოლოგთა საზოგადოება, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი.

კონკურსი გრიგოლ კიკნაძისა და გივი გაჩეჩილაძის სახელობის სამეცნიერო პრემიების მოსაპოვებლად

კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაცია (GCLA) და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს გრიგოლ კიკნაძისა და გივი გაჩეჩილაძის სახელობის სამეცნიერო პრემიების მოსაპოვებლად. პრემიები ორ წელიწადში ერთხელ ენიჭება საქართველოს უნივერსიტეტებში, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და სხვა დაწესებულებებში მომუშავე მეცნიერებს თვალსაჩინო ნაშრომისათვის ლიტერატურისმცოდნეობის სფეროში და ამავე დარგში შესრულებული საუკეთესო სამეცნიერო თარგმანისათვის.

„გრიგოლ კიკნაძის სახელობის პრემია“ გაიცემა ორ ნომინაციაში:
ა) სამეცნიერო მონოგრაფია;
ბ) სამეცნიერო სტატია;

„გივი გაჩეჩილაძის სახელობის პრემია“ გაიცემა ორ ნომინაციაში:
ა) სამეცნიერო თარგმანი (ქართულიდან უცხო ენაზე)
ბ) სამეცნიერო თარგმანი (უცხო ენიდან ქართულ ენაზე)

პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნას ბოლო 2 წელიწადში (2013-2014 წ.წ.) გამოცემული შრომები.
პრემიის მოსაპოვებლად ნაშრომის წარმოდგენა შეუძლია:
ა) ავტორს;
ბ) გამომცემლობას;
გ) ორგანიზაციას.

პრემიების მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს:
ა) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი (სამ ცალად);
ბ) ავტორის (ან ავტორთა) კალენდარული ავტობიოგრაფია (ჩV)

საკონკურსოდ შემოსულ ნაშრომებს აფასებს ანონიმური კომისია, რომელიც დარგის ექსპერტებისგან (სულ – ხუთი წევრი) შედგება.

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა, მხარდაჭერის ნიშნად, საპრემიო კომიტეტს გამოუყო სივრცე, ამიტომაც პრემიაზე წარსადგენი ნაშრომების დატოვება მსურველებს სწორედ ინსტიტუტის შენობაში შეეძლებათ.

მასალები მიიღება 2015 წლის 12 იანვრიდან 20 მარტის ჩათვლით, მისამართზე: კოსტავას ქ. 5, მე-2 სართული (მედეა მუსხელიშვილთან ან მარიამ ნებიერიძესთან).

პრემიის გადაცემის საზეიმო ცერემონიალი გაიმართება მაისში. გამარჯვებულებს გადაეცემათ შესაბამისი პრემიები და ფულადი ჯილდო.

თსუ-ის ძალისმიერი სამჭიდის ნაკრების წარმატება

26 დეკემბერს გიორგი რეხვიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ საქართველოს თასის გათამაშებაში თსუ-ის ძალისმიერი სამჭიდის ნაკრებმა გუნდური გამარჯვება მოიპოვა. ძალისმიერ სამჭიდში, წოლჭიმსა და ამოჭიმვაში, თსუ-ელების ანგარიშზე 13 ოქროს, 13 ვერცხლის და 8 ბრინჯაოს მედალია.

ათლეტიზმს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საკმაოდ დიდი და საინტერესო ისტორია აქვს. თსუ ათლეტიზმის სექცია თსუ-ში 1960 წელს დაარსდა კონსტანტინე ბაუტაშვილის მიერ. 1980 წელს დაარსდა ათლეტიზმის კლუბი „ამირანი“, რომელიც 2007 წლიდან თსუ კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის შემადგენლობაშია.

თავისი არსებობის მანძილზე ათლეტიზმის კლუბმა მრავალჯერ მოიპოვა საერთაშორისო ტურნირების პირველობა. 1994-1995 წწ. ევროპის ჩემპიონატებზე კლუბის წარმომადგენლებმა 10 ოქროს და 2 ვერცხლის მედალი მოიპოვეს. ჩემპიონები გახდნენ: შოთა ბეჟაშვილი (ორჯერ), მამუკა შენგელია, არტემ დალაქიშვილი, სოსო ხარაბაძე, კობა ალუდაური, ზურაბ მღვდელაძე, ნიკოლოზ სარალიძე, გერონტი ჯმუხაძე, ვალერი გოგრიჭიანი; ვერცხლის მედლები მოიპოვეს: მამუკა შენგელიამ და შალვა მისკალიშვილმა. 1997-2010 წ.წ. აშშ-ში მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ: შოთა ბეჟაშვილი, გიორგი მინდიაშვილი, მიხეილ მანუკიანი, სოსო ხარაბაძე, ბორის სარალიძე, ვეფხია ჯმუხაძე, გერონტი ჯმუხაძე, ზურაბ ჭავჭანიძე, სერგო მერაბიშვილი, კობა ალუდაური, ხვიჩა მამედოვი, ზაურ ჯავახიშვილი, ვლადიმერ ნაზღაიძე, ვაჟა გივიშვილი, ბექა მაზანიშვილი, კახა დათუკიშვილი, ავთანდილ მამალაძე, იაგო ინწკირველი, ზურაბ ძამუკაშვილი, რამაზ აბარიაშვილი, ალექსი ორკოდაშვილი, ნიკა ვეფხვაძე, კახა ერგემლიძე, მანუჩარ ჭინჭარაული, გიორგი მესაბლიშვილი, გოჩა გუძუაძე, ლევან გილიგაშვილი, თეიმურაზ ლუგიძე, გელა გელაშვილი, ლევან ციციშვილი და რამაზ თარაშვილი. ვერცხლის მედალი მოიპოვა ნიკოლოზ სარალიძემ.

თსუ ფუტსალის გუნდი საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის თასის მფლობელია

თსუ ფუტსალის ნაკრებმა 2014 წელს მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია და ჩემპიონის სტატუსი მოიპოვა. 25 დეკემბერს გაიმართა საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის თასის გათამაშების ფინალი ფუტსალში, სადაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა დაამარცხა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი პენალტების სერიაში.

უნივერსიტეტის ფუტსალის გუნდი ჩამოყალიბდა 2007 წელს და წარმატებით მოღვაწეობს როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო შეჯიბრებებში. ფუტსალის გუნდი მონაწილეობას იღებს ტურნირში საქართველოს პირველობისთვის, სადაც 2011-2012 წლის ჩემპიონატზე პირველი ადგილი დაიკავა და საქართველოს თასის მფლობელი გახდა

თსუ-ს ფუტსალის გუნდი ბენდელას თასის მფლობელიცაა. 2012 წელს თსუ-ს გუნდმა III ადგილი დაიკავა ესპანეთში, ქალაქ კორდობში გამართულ ევროპის უნივერსიადაზე. აღსანიშნავია, რომ გუნდის 6 წევრი ამავე დროს საქართველოს ფუტსალის ნაკრები გუნდის წევრია, ხოლო მთავარი მწვრთნელი ბესარიონ არველაძე საქართველოს ნაკრებს წვრთნის.

პირველ ეტაპზე გუნდის წევრების შერჩევა მათი შესაძლებლობების შემოწმებით ხდება, რეგისტრაციის გავლა შეუძლია უნივერსიტეტის ნებისმიერ სტუდენტს.

თსუ კალათბურთელები ჯგუფის ერთპიროვნულ ლიდერობას ინარჩუნებენ

სტუდენტური საკალათბურთო ლიგის ჯგუფური ეტაპი თსუ-ის გუნდმა 2014 წლის დეკემბრის ბოლოს წარმატებით დაასრულა (ექვსიდან ექვსი მოგება), ბოლო შეხვედრაში თსუ-მ აგრარული უნივერსიტეტი დაამარცხა ანგარიშით 93-58 და ამ გამარჯვებით ჯგუფის ერთპიროვნული ლიდერობა შეინარჩუნა.

კალათბურთი თსუ-სთვის ტრადიციული სპორტია. 1924 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს კალათბურთელთა 12 გუნდი ჰყავდა, მაშინ საუკეთესონი ერთ ძლიერ გუნდში გაერთიანდნენ და 1925 წელს თბილისის ჩემპიონები გახდნენ. ორი სეზონის შემდეგ კი უნივერსიტეტმა საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა, უნივერსიტეტის ღირსებას იცავდნენ ლევან ფალავანდიშვილი, ვახტანგ ციციშვილი, ვახტანგ და რობერტ მდივნები, განსაკუთრებული წვლილი ჩვენი კალათბურთის განვითარებაში 40-50-იანი წლების სპორტსმენებს მიუძღვით. უნივერსიტეტი ბრწყინავდა, როდესაც აქ სასწავლებლად ლეგენდარული ნოდარ ჯორჯიკია, მიხეილ კეკელიძე, სულიკო თორთლაძე მოვიდნენ.

1944 წელს უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდის კათედრის გამგის, შალვა დიასამიძის ინიციატივით შეიქმნა ქალ-კალათბურთელთა გუნდი, რომელმაც მომდევნო ატწლეულებში არაერთი გამარჯვება მოიპოვა. 1998 წლიდან ქალთა გუნდი წამყვანი იყო მთელ საქართველოში, 2010 წლამდე ზედიზედ მოიპოვა საქართველოს თასი და ჩემპიონობა, ამ პერიოდში გუნდს წვრთნიდნენ ელდარ კაპანაძე და იანა ავსაჯანიშვილი.

უკანასკნელ წლებში თსუ-ს ვაჟთა საკალათბურთო გუნდმაც წარმატებულად იასპარეზა საქართველოს სუპერლიგის ჩემპიონატზე:

2009-2010 წწ. სეზონი – ვერცხლის მედალი, 2010-2011 წ. სეზონი – ვერცხლის მედალი, ასევე 2010-2011 წწ. სეზონზე თსუ-ს გუნდი გახდა ქორქია-საკანდელიძის მემორიალური თასის გამარჯვებული. 2012-2013 წწ. სეზონისათვის მხოლოდ ვაჟ კალათბურთელთა გუნდი შედგა, მათ პირველ აგვისტოს დაიწყეს მზადება და სეზონის დასაწყისისთვის, ოქტომბერში, თსუ უძლიერესი გუნდით წარსდგა გულშემატკივრის წინაშე.

გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge